საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2016 წლის 21 ივნისის

დადგენილება №2023

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
ზოგიერთ ფაკულტეტზე დანიშნული დეკანის
არჩევნების გადავადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდებისა“ და აკადემიური საბჭოს რეგლამენტის საფუძველზე **აკადემიური საბჭო ადგენს:**

1. სტუ-ის ქვემოთ ჩამოთვლილ ფაკულეტეტებზე დეკანის არჩევნები ნაცვლად 2016 წლის 6 ივლისისა ჩატარდეს 2016 წლის 27 ივლისს:
   1.1 სამშენებლო ფაკულტეტი;
   1.2 ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი;
   1.3 სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტი;
   1.4 ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტი;
   1.5 სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი;
   1.6 არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტი;
   1.7 ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი.
2. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2016 წლის 14 ივლისს და დასრულდეს 20 ივლისს. განცხადებები მიიღება ყოველდღე, დასვენებისა და უქმე დღეების გარდა, 10 საათიდან 17 საათამდე, ფაკულტეტის საარჩევნო კომისიებში;
3. 2016 წლის 26 ივლისს (12 სთ) დაინიშნოს კანდიდატთა მიერ სამოქმედო პროგრამის საჯაროდ წარდგენა ფაკულტეტის საბჭოებში;
4. 65 წლისა და მეტი ასაკის პირის მიერ დეკანის თანამდებობის დაკავების საკითხს ინდივიდუალურად წყვეტს აკადემიური საბჭო, აღნიშნულ საკითხზე აკადემიურ საბჭოში განცხადების წარდგენა მოხდეს 2016 წლის 14 ივლისს, 10 საათიდან 17 საათამდე;

5. დეკანის არჩევნების გადავადების შესახებ ინფორმაცია გამოქვეყნდეს 2016 წლის 22 ივნისს, იმავე ბეჭდური მედიის საშუალებით, რომლითაც მოხდა თავდაპირველი განცხადების გამოქვეყნება დეკანის არჩევნების დანიშვნის შესახებ და განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე